დანართი შეთანხმება №3
2012 წლის 08 აგვისტოს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ მშ.№1-12 (CMR 120242251) ხელშეკრულებაზე

თბილისი **26.04.2013წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის **ირაკლი ლითანიშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს „ბელ-ბაუ“**, მისი დირექტორის **ამირან კიკნაველიძის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების განვითარებისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს 2013 წლის 26 აპრილის №1866 მოხსენებითი ბარათის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. განხორციელებული საპროექტო ცვლილებების შედეგად შევიდეს ცვლილება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი გზის კმ.14(0.4)-კმ.21(0.7) მონაკვეთებზე დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ მხარეთა შორის 2012 წლის 08 აგვისტოს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მშ.№1-12 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში.

2. მიმწოდებლის მიერ სამუშაოების წარმოების პროცესში პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად მიღებული ეკონომია შეადგენს 12 508 (თორმეტი ათას ხუთას რვა) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდება იმავე ოდენობის თანხით და იგი შეადგენს 2 593 619.42 (ორი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცამეტი ათას ექვსას ცხრამეტი ლარი და 42 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, რაც იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების ფასი. შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში, გატარებული ცვლილების გათვალისწინებით.

4. წინამდებარე დანართ შეთანხმებაზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველთან შეთანხმებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

5. დანართი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6. წინამდებარე დანართი შეთანხმება მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ირაკლი ლითანიშვილი

მიმწოდებელი
შპს „ბელ-ბაუ“
დირექტორი
ამირან კიკნაველიძე

2012 წლის 8 აგვისტოს შპს "ბელ-ბაუ"-სთან ხელმოწერილი მშ. № 1-12 კონტრაქ ტითსაერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი ს/გზის კმ 14(0.4) - კმ 21(0.7) მონაკვეთებზე დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების

კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა დასახელება		მოცულობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
	<u>მიწის სამუშაოები</u>				
1	III კატ. გრუნტის დამუშავება ექსკავა ტორით 0,65 $მ^3$ დატვირთვა ექსკავატო რით და გატანა ნაყარში	$მ^3$	23 860,00	2,50	59 650,00
2	დრენაჟის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტიდა	$მ^3$	12 050,00	15,00	180 750,00
3	ყრილის მოწყობა ხრეშოვანი გრუნტით	$მ^3$	34 560,00	15,00	518 400,00
4	VII კატ. კლდოვანი გრუნტის გაფხვიერება მძლავრი ბულდოზერით, გადაადგილება 110 მ-ზე	$მ^3$	123 734,00	11,34	1 403 143,56
5	ყრილის მოწყობა ჭრილში დამუშავებ. გრუნტით	$მ^3$	600,00	2,50	1 500,00
	ჯამი				2 163 443,56
	პკ 28+55-ზე ლითონის d-1,0 მ მრგვალი მილის მოწყობა				
1	გრუნტის დამუშავება ექსკ-რით V-0,65 $მ^3$ შეგროვება ბულდოზერით და გადაადგი ლება 50 მ-ზე	$მ^3$	170,00	4,00	680,00
2	გრუნტის დამუშავება ბულდოზერით გადაადგილება 50 მ-ზე	$მ^3$	130,00	3,00	390,00
3	გრუნტის დამუშავება ხელით ერთმაგი გადაყრით გვერდზე	$მ^3$	30,00	10,00	300,00
4	ლითონის მრგვალი მილი დ-1020 მმ ჰ-12მმ	გრძ.მ.	20,00	1 200,00	24 000,00
5	ლითონის მრგვალი მილის დ-1020 მმ გაგლესვა ბიტუმით	$მ^2$	63,0	2,50	157,40
6	ქვიშა-ხრეშოვანი მოსამშადებელი შრე მილის ქვეშ ჰ-30 სმ	$მ^3$	8,00	15,00	120,00
7	პორტალური კედლის მონოლოთური ბეტონი B-20, F-100				
	ფუნდამენტი	$მ^3$	5,40	250,00	1 350,00
	ტანი	$მ^3$	4,10	250,00	1 025,00
8	შესასვლელი სათავისის მონოლოთური ბეტონი B-20, F-100				

	ფუნდამენტი	$მ^3$	8,60	250,00	2 150,00
	ტანი	$მ^3$	5,40	250,00	1 350,00
	ღარი	$მ^3$	2,60	250,00	650,00
	კბილი	$მ^3$	3,00	250,00	750,00
9	ქვიშა-ხრეშოვანი მოსამშადებელი შრე შესასვლელი სათავისის ქვეშ	$მ^3$	2,00	15,00	30,00
10	პორტალური და სათავისის კედლების უკანა მხარის გაგლესვა ბიტუმით	$მ^2$	12,00	2,50	30,00
11	სპეცპროფილის მონოლითური ბეტონის პარაპეტი ზომ. 300X60X81(h)სმ	$ც/მ^3$	2/1,54	290,00	446,60
12	სპეცპროფილის მონოლითური ბეტონის პარაპეტის შეღებვა ემალის საღებავით	$მ^2$	18,00	10,00	180,00
13	რისბერმა	$მ^3$	23,00	30,00	690,00
14	გრუნტის უკუჩაყრა ხელით	$მ^3$	12,00	20,00	240,00
	ჯამი				**34 539,00**
	მთლიანი ჯამი				**2 197 982,56**
	დღგ				**395 636,86**
	მთლიანი ღირებულება				**2 593 619,42**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ი. ლითანიშვილი

შპს "ბელ-ბაუ"-ს დირექტორი
ა. კიკნაველიძე

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
ო. ხატიაშვილი

შპს "გზამშენპროექტი"-ს დირექტორი
ი. ფანელი